სახელმწიფო აუდიტის სამსახური

"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ"

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

ზურაბ ბუცხრიკიძე

„6" მარტი 2013 წელი

ეგზ 2

ქ.ქუთაისის საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის (გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები, საგზაო ნიშნების დამონტაჟებისა და მაგისტრალების მონიშვნითი სამუშაოები) შესაბამისობის აუდიტის

ანგარიში № 13/00

(01.01.2009 - 31.12.2011)

2013 წელი

სარჩევი

აუდიტის ძირითადი მიზანი ---------- 3

✓ თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერიის მიერ საგზაო ნიშნების მოწყობასთან დაკავშირებული ფინანსური სახსრების ხარჯვის კანონიერებაზე, ეკონომიურობასა და მიზნობრიობზე დასაბუთებული რწმუნების მოპოვებას; ------- 3

პროგრამების ზოგადი მიმოხილვა: ---------- 3

აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები ---------- 4

ბიუჯეტის დაგეგმვა და ფინანსური უზრუნველყოფა ---------- 5

შესყიდვების სტატისტიკური მიმოხილვა ---------- 7

შესყიდვებისას გამოვლენილი ხარვეზები ---------- 8

აღრიცხვა-კონტროლი ---------- 12

აუდიტის ძირითადი მიზანი

აუდიტის ძირითადი მიზანი გულისხმობს:

- ✓ თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის გზების მშენებლობა-რეკონსტრუქციის ღონისძიებებთან დაკავშირებული ფინანსური სახსრების ხარჯვის კანონიერებაზე, ეკონომიურობასა და მიზნობრიობაზე დასაბუთებული რწმუნების მოპოვებას;
- ✓ თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერიის მიერ საგზაო ნიშნების მოწყობასთან დაკავშირებული ფინანსური სახსრების ხარჯვის კანონიერებაზე, ეკონომიურობასა და მიზნობრიობზე დასაბუთებული რწმუნების მოპოვებას;
- ✓ აუდიტის შედეგად გამოვლენილ არსებით ნაკლოვანებებზე შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას.

პროგრამების ზოგადი მიმოხილვა:

თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის გზების მშენებლობა-რეკონსტრუქციის, მოვლა-შენახვისა და ქალაქის საგზაო ნიშნების მოწყობის ღონისძიებების მიზანია საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, ავტოტრანსპორტის გაზრდილი ნაკადების გამტარუნარიანობის გაუმჯობესება, საგზაო მოძრაობის დარეგულირება გზებისა და გზაჯვარედინების ტექნიკური საშუალებებით აღჭურვით. აღნიშნული მიზნების მიღწევა დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებების გატარებით:

- ✓ ხარისხიანი საგზაო ინფრასტრუქტურის შექმნა, რომელიც მოიცავს გზების მშენებლობა-რეკონსტრუქციას, მიმდინარე და კაპიტალურ შეკეთებას
- ✓ გზის საფარის მოვლა-შენახვას მუდმივი მონიტორინგის გზით
- ✓ საგზაო მოძრაობის მოწესრიგებას ახალი საგზაო ნიშნების დადგმითა და ძველის გადაიარაღებით

მერიის მიერ აღნიშნული ღონისძიებები მიმართულია, რათა გაუმჯობესდეს საგზაო უსაფრთხოება, მოწესრიგდეს გზები და გზაჯვარედინები, რაც საბოლოოდ უზრუნველყოფს ტრანსპორტისა და ქვეითთა ნაკადის უსაფრთხო გადაადგილებას მთელი ქალაქის მასშტაბით.

აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები

სისტემური ნაკლოვანებები

1. ქ. ქუთაისის მერიაში შესყიდვებთან დაკავშირებით დანერგილი კონტროლის მექანიზმები ფუნქციონირებენ არასრულყოფილად, რის გამოც ადგილი აქვს არსებით დარღვევებს საბიუჯეტო ციკლის თითქმის ყველა ეტაპზე - ბიუჯეტის დაგეგმვიდან შესრულებამდე;
2. საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება ძირითადად ეფუძნება ერთჯერად ღონისძიებებს. მერიის მხრიდან არ ხორციელდება შესასრულებელი სამუშაოების გრძლევადიანი/მოკლევადიანი დაგეგმვა, რის გამოც ვერ ხერხდება საჭირო ფინანსური რესურსების წინასწარი გათვლა, რაც საბოლოოდ იწვევს ხშირ და დაუსაბუთებელ ცვლილებებს დამტკიცებულ ბიუჯეტში;
3. შეიძლება ითქვას, რომ მერიის მიერ გამოცხადებული ტენდერები არასრულყოფილადაა ჩატარებული, რაზეც მიუთითებს ის ფაქტი, რომ აუდირებულ პერიოდში გაფორმებული ხელშეკრულებების უმრავლესობას დასჭირდა დამატებითი შეთანხმებების გაფორმება;
4. მერიის მიერ გაფორმებული თითქმის ყველა ხელშეკრულებით სამუშაოს შესრულება მომწოდებლებმა უნდა უზრუნველყონ საერთაშორისო სტანდარტებით. თუმცა, არ არსებობს მექანიზმი, რითაც შემსყიდველი შეაფასებს ჩატარებული სამუშაოების შეთანხმებულ სტანდარტებთან შესაბამისობას;
5. 2009-2010 წლებში გაფორმებულ ხელშეკრულებებში არ არის მითითებული საგარანტიო ვადები, რის გამოც სამუშაოს ჩაბარების შემდგომ წარმოქმნილ ხარვეზებზე მერია პასუხისმგებლობას ვერ აკისრებს მომწოდებლებს.

გამოვლენილი კანონშეუსაბამობის ფაქტები

1. 2010 წლის მარტის თვეში გამოცხადებულ ტენდერში გაიმარჯვა მაღალი ფასის მქონე პრეტენდენტმა - შპს „წყალტუბოგზასერვისმა". ტენდერით გათვალისწინებულ სამუშაოებს აღნიშნული ფირმის კონკურენტი შპს „კოლხი" შეასრულებდა 14.0 ათასი ლარით ნაკლებად;
2. გზის საფარის შეკეთების სამუშაოებში 1 კვ.მ. გზის საფარის შეკეთების ფასი შპს „წყალტუბოგზასერვისს" დაფიქსირებული აქვს მაღალი თანხა, ვიდრე ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული. სს „იბერია XXI-ს" მიერ „გაუთვალისწინებელი ხარჯები" ისეა მოთხოვნილი და ანაზღაურებული, რომ იგი გაშიფრული არ არის. შედეგად, აღნიშნულ ფირმებს ბიუჯეტიდან ზედმეტად აუნაზღაურდათ 32,9 ათასი ლარი;
3. მომწოდებლების მიერ ხელშეკრულების მოთხოვნები სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარებასთან დაკავშირებით დარღვეულია, რაზეც ქალაქ ქუთაისის მერიას არ გამოუყენებია ხელშეკრულებით განსაზღვრული საჯარიმო სანქციები. სულ ჯამში დარიცხული არ არის 24,2 ათასი ლარის ჯარიმა;
4. მომწოდებლების მიერ სამშენებლო მასალების ნარჩენების გატანაზე წარმოდგენილი დოკუმენტაცია არასრულყოფილია, რის გამოც ვერ მოხერხდა აღნიშნული ხარჯების რეალობის დადგენა. შესრულების აქტებში დაფიქსირებულია 38,7 ათასი ტონა სამშენებლო ნარჩენების გატანა, რისთვისაც მათ აუნაზღაურდათ 237,7 ათასი ლარი.

ბიუჯეტის დაგეგმვა და ფინანსური უზრუნველყოფა

გზების მშენებლობა-რეკონსტრუქციისა და საგზაო ნიშნების მოწყობის ღონისძიებები 2009-2011 წლებში დაფინანსდა როგორც ქალაქ ქუთაისის ადგილობრივი ბიუჯეტიდან, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სპეციალური ტრანსფერის საშუალებით.

სულ დამტკიცებული ბიუჯეტით აღნიშნული პროგრამების დაფინანსება 2009-2011 წლებში განისაზღვრა 4176 ათასი ლარით. ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებების შედეგად დაზუსტებულმა ბიუჯეტმა შეადგინა 10402,4 ათასი ლარი, ბიუჯეტის ზრდა გამოწვეულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული თანხებით(6200,0 ათასი

ლარი). საკასო ხარჯი გაწეულია 9791.4 ათასი ლარი, პროგრამების მიხედვით თანხა გახარჯულია შემდეგნაირად:

1. გზების მშენებლობა-რეკონსტრუქციაზე აუდირებულ პერიოდში გახარჯულია 9280.5 ათასი ლარი;
2. საგზაო ნიშნების მოწყობის ღონისძიებებზე გახარჯულია 510,9 ათასი ლარი.

ქალაქ ქუთაისის საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობასთან დაკავშირებით არ ხდება პროგრამების წინასწარი გათვლა, რაც გარკვეულწილად იმითაა განპირობებული, რომ აღნიშნული ღონისძიებების დაფინანსება ძირითადად ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სპეციალური ტრანსფერებით. ადგილობრივ ბიუჯეტში თანხებისგათვალისწინება ხდება წინასწარი გათვლების გარეშე და არ ხორციელდება საჭირო ფინანსური რესურსების რეალური გაანგარიშება:

- ✓ *ქალაქ ქუთაისის მერიამ 2009-2011 წლებში შუქნიშნების მოვლა-პატრონობის შესყიდვა განახორციელა ისე, რომ არ მომხდარა მომსახურების რეალური ღირებულების დათვლა, გასაწევ მომსახურებაზე არ არის შედგენილი კალკულაციები და ხარჯთაღრიცხვები. ამ გზით, სულ 2009-2011 წლებში შეძენილია 180,0 ათასი ლარის ღირებულების მომსახურება, შესაბამისად 2009 წელს - 49,3 ათასი ლარი, 2010 წელს - 60,0 ათასი ლარის, ხოლო 2011 წელს 70,0 ათასი ლარის ოდენობით.*

ქ.ქუთაისში არ ხორციელდება ქუჩების კატეგორიებად დაყოფა მათი აღდგენის საჭიროებისა და ფუნქციიდან გამომდინარე, რის გამოც ხშირია სარეკონსტრუქციო ქუჩების დაუსაბუთებელი ცვლილება ადგილობრივ ბიუჯეტში. კერძოდ:

- ✓ *2009 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით განისაზღვრა 6 ქუჩის რეკონსტრუქცია. ბიუჯეტში შესული ცვლილებების შედეგად სარეკონსტრუქციო ქუჩების სიიდან ამოიღეს 5 ქუჩა, რომლის სანაცვლოდ დაემატა 2 სხვა ქუჩა. ანალოგიური მდგომარეობაა 2010 წელსაც, როდესაც სარეკონსტრუქციო 5 ქუჩას ცვლილების შედეგად დაუმატეს 42 სხვა ქუჩა და საბოლოოდ ამოიღეს 13 ქუჩა.*

შესყიდვების სტატისტიკური მიმოხილვა

ქალაქ ქუთაისის მერიამ გზების მშენებლობა-რეკონსტრუქციისა და საგზაო ნიშნების მოწყობის ღონისძიებების ფარგლებში 2009-2011 წლებში სულ განახორციელა 38 შესყიდვა, მათ შორის 10 ერთ პირთან მოლაპარაკება, 27 ტენდერი და ერთი ფასთა კოტირება.

საანგარიშო პერიოდი	გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის სამუშაოების შესყიდვა				ქალაქ ქუთაისის საგზაო ნიშნების მოწყობის სამუშაოების შესყიდვა					
	ერთ პირთან მოლაპარაკება		ტენდერი		ერთ პირთან მოლაპარაკება		ფასთა კოტირება		ტენდერი	
	რაოდ	თანხა	რაოდ	თანხა	რაოდ	თანხა	რაოდ	თანხა	რაოდ	თანხა
2009 წელი	2	481.3	2	1573.3	2	26.2	1	155.7	1	36.6
2010 წელი	2	692.8	2	3829.4	3	32.7			2	124.4
2011 წელი			12	3327.4	1	12.6			8	122.7
სულ	4	1174.1	16	8730.1	6	71.5	1	155.7	11	283.7

2011 წელს შესყიდვები განხორციელებულია ელექტრონული ტენდერით[1]. ტენდერების მიმდინარეობისას აღინიშნებოდა კონკურენცია, რის შედეგადაც მერიამ მიიღო ეკონომია 945 ათასი ლარი, გამოცხადებული შესყიდვების თანხის 22%. 2009-2010 წლებში ძირითადად გამარჯვებულად გამოვლინა იმერეთის რეგიონის რამდენიმე ფირმა და მიღებულმა ეკონომიამ შეადგინა 410 ათასი ლარი, გამოცხადებული შესყიდვების თანხის 6%.

[1] ელეტროენერგიის შესყიდვა განხორციელებულია ერთ პირთან მოლაპარაკების გზით.

შესყიდვებისას გამოვლენილი ხარვეზები

❖ *ტენდერში გამარჯვებული მაღალი ფასის მქონე პრეტენდენტი*

ქალაქ ქუთაისის მერიამ 2010 წლის მარტის თვეში გამოაცხადა ტენდერი 5 ლოტად ქუჩებისა და მოედნების კეთილმოწყობაზე, თანხით 4000,0 ათასი ლარი. მეხუთე ლოტში გამოცხადდა გზების მიმდინარე სამუშაოების შესყიდვა, სავარაუდო ღირებულებით 400.0 ათასი ლარი. ტექნიკურ დავალებაში მოცემული იყო მხოლოდ 1 კვ.მ გზის საფარის შეკეთების სამუშაოების დასახელება, არ იყო მოცემული შესასრულებელი სამუშოების მოცულობები.

ტენდერში მონაწილეობაზე წინადადება წარმოადგინა შპს „წყალტუბოგზასერვისმა"[2]და შპს „კოლხმა"[3]. შპს „წყალტუბოგზასერვისის" მიერ წარმოდგენილი ფასები აღემატებოდა შპს „კოლხის" მიერ შემოთავაზებულს.

შესასრულებელი სამუშაოს დასახელება	შპს „წყალტუბო გზასერვისი" (1 კვ.მ ფასი)	შპს „კოლხი" (1 კვ.მ ფასი)	შენიშვნა
ასფალტობეტონის დაგება სისქით 3 სმ	17.28	15.97	
ასფალტობეტონის დაგება სისქით 4 სმ	14.40	21.29	საბოლოოდ სამუშაო შესრულდა 26 ლარად
ასფალტობეტონის დაგება სისქით 5 სმ	28.82	26.55	
ასფალტობეტონის დაგება სისქით 6 სმ	34.59	31.87	
ასფალტობეტონის დაგება სისქით 7 სმ	38.90	37.19	
სილა–ბეტობის დაწნეხილი ფილების შეკეთება	43.23	27.30	
გრანიტის ქვის ფილების შეკეთება	46.11	34.12	
რიყის ქვის შეკეთება	20.16	31.40	ეს სამუშაო არ შესრულებულა
გრანიტის ბორდიურების შეკეთება	50.72	21.84	
რკ/ბეტონის ბორდიულების შეკეთება	24.90	17.74	
მოღორღვა–მოხრეშის სამუშაოები	6.89	30.70	ეს სამუშაო არ შესრულებულა
ბეტონის გზის შეკეთება	40.34	35.50	

[2] წყალტუბოს ფირმა
[3] თბილისის ფირმა

მიუხედავად ამისა, სატენდერო კომისიამ გამარჯვებულად შპს „წყალტუბოგზასერვისი“[4] - უფრო მაღალი ფასის მქონე პრეტენდენტი გამოავლინა.

შპს „წყალტუბოგზასერვის“-მა 2010 წელს შეასრულა 400.0 ათასი ლარის გზების მიმდინარე შეკეთებითი სამუშაოები. შპს „კოლხი“ ტენდერში გამარჯვების შემთხვევაში იგივე მოცულობის სამუშაოებს 14.0 ათასი ლარით ნაკლებად შეასრულებდა.

❖ *<u>შეუსრულებელი სამუშაოები და ზედმეტად მოთხოვნილი და ანაზღაურებული თანხები</u>*

1. შპს „წყალტუბოგზასერვის“-მა 2010 წელს შეასრულა 400,0 ლარის სამუშაო, მათ შორის 2697 კვ.მ გზის საფარის შეკეთების სამუშაოები შესრულდა 69.3 ათას ლარად - 1 კვ.მ გზის შეკეთება 4 სმ-იანი ა/ბეტონის საფარით 25.70 ლარი[5]. ხელშეკრულების მიხედვით, მას ეს სამუშაოები უნდა განეხორციელებია 38.8 ათას ლარად - 1 კვ.მ გზის შეკეთება 4 სმ-იანი ა/ბეტონის საფარით 14,4 ლარი.

შესაბამისად, შპს „წყალტუბოგზასერვის“-ს ბიუჯეტიდან ზედმეტად აუნაზღაურდა 30.4 ათასი ლარი.

2. სს „იბერია XXI-ს“ 2009 წელს შესრულებული აქვს გზის საყრდენი კედლის მშენებლობა-რეკონსტრუქცია, თანხით 84,1 ათასი ლარი[6]. ხარჯთაღრიცხვაში ჩადებული იყო გაუთვალისწინებელი ხარჯები 3%-ის ოდენობით. შესრულებული სამუშაოს აქტში დაფიქსირებული არ არის ამ მუხლით გაწეული, ფაქტიურად შესრულებული სამუშაო, რის გამოც 2,5 ათასი ლარის ხარჯის მიზნობრიობის დადასტურება ვერ ხერხდება.

❖ მომწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტში ნაჩვენები არასწორი ფასები

---

[4] ტენდერის პირობებით გათვალისწინებული ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ მას დოკუმენტაცია არ წარმოუდგენია, აღნიშნულის გამო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის (პუნქტი მიუთითეთ!) შესაბამისად შპს„წყალტუბოგზასერვისი“ ექვემდებარებოდა დისკვალიფიკაციას.

[5] გაზრდილი ფასი დაფიქსირებულია შპს „წყალტუბოგზასერვისის“ მიერ წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვაში, რომელიც არ შეთანხმებულა შემსყიდველთან.

[6] 2009 წლის 2 სექტემბერს ეპმ-ის ხელშეკრულება N 427;

1. 2011 წლის 18 აგვისტოს ქ.ქუთაისის მერიამ გამოაცხადა ტენდერი „ქ. ქუთაისში ილია ჭავჭავაძის გამზირის ტროტუარზე ქვაფენილებით მოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე", საერთო ღირებულებით 595,5 ათასი ლარი. ტენდერში გაიმარჯვა შპს „ახალმა ჩუქურთმამ" 555 ათას ლარად.

აღნიშნულ ფირმას შესრულებაში „ბალახსაფარიანი მიწის ბელტების მოწყობა გამწვანების ზოლზე" 1 კვ.მ. მასალის ფასი დაფიქსირებული აქვს 14 ლარი, ხოლო დაგება 7 ლარი, ანუ ჯამში 21 ლარი[7] დარიცვხებისა და მოგების მარჟის გათვალისწინების გარეშე.[8]

მერიაში წარმოდგენილი მასალებიდან[9] გაირკვა, რომ მომწოდებელს 1 კვ.მ. ბალახსაფარიანი მიწის ბელტების მიწოდება-მოწყობაში გადახდილი აქვს 4 ლარი[10], ნაცვლად 21 ლარისა. სულ შპს „ახალმა ჩუქურთმამ" შეასრულა 1633,7 კვ.მ სამუშაო და ჯამში მიიღო 36,8 ათასი ლარით მეტი თანხა (დარიცხვებით), ვიდრე გადახდილი აქვს.

2011 წლის 10 ოქტომბერს ქ.ქუთაისის მერიამ გამოაცხადა ტენდერი ილია ჭავჭავაძის გამზირის (მარჯვენა მხარე) ტროტუარის, ველობილიკების, ბორდიურებისა და ავტოსადგომის მოწყობის სამუშაოების შესყიდვაზე. ტენდერში გაიმარჯვა შპს"გეგიმ" თანხით 688,4 ათასი ლარი.

აღნიშნულ ფირმას შესრულებაში 1 კვ.მ. მასალის ფასი დაფიქსირებული აქვს 12 ლარი, ხოლო დაგება 3,2 ლარი, ანუ ჯამში 15,2 ლარი, დარიცვხებისა და მოგების გათვალისწინების გარეშე[11].

შპს „გეგის" მიერ მერიაში წარმოდგენილი მასალებიდან გაირკვა, რომ მომწოდებელს 1 კვ.მ ბალახსაფარიანი მიწის ბელტების მიწოდება-მოწყობაში გადახდილი აქვს 5,5 ლარი, ნაცვლად 15,2 ლარისა. სულ შპს „გეგიმ" შეასრულა 1570,0 კვ.მ სამუშაო და ჯამში მიიღო 20,6 ათასი ლარით მეტი თანხა (დარიცხვებით), ვიდრე გადახდილი აქვს.

---

[7] ამავე პერიოდში ქ.ქუთაისში ნ.ნიკოლაძის სკვერის კეთილმოწყობის სამუშაოების შესყიდვის დროს 1 კვ.მ „კორდის საფარის" მოწყობა განხორციელებულია 5.6 ლარად; დავით აღმაშენებლის გამზირზე ველო ბილიკის მოწყობის თანმდევი სამუშაოების დროს „ადგილობრივი კოინდრის მოჭრა-დაგება" 1 კვ.მ კი - 3.6 ლარად;

[8] დარიცხვებით და მოგებით 1 კვ.მ ღირებულებაა 27.8 ლარი;

[9] მერიამ მომწოდებლიდან შესყიდვის დოკუმენტები გამოითხოვა ჩვენი მოთხოვნის საფუძველზე;

[10] შესყიდვა განხორციელებულია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სანასარ ხუგასიანისაგან;

[11] დარიცხვებით და მოგებით 1 კვ.მ ღირებულებაა 20.5 ლარი;

დაურიცხავი ჯარიმები და სანქციები

2011 წელს ტენდერში გამარჯვებულ ფირმებთან მერიის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით მომწოდებელი ვალდებული იყო ჩაეტარებინა შესრულებული სამუშაოს ექსპერტიზა. ხელშეკრულების მიხედვით ობიექტის საბოლოოდ მიღება უნდა განხორციელებულიყო ექსპერტიზის მონაცემების წარდგენისა და ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

მომწოდებლის მიერ ობიექტი (სამუშაოები) დამთავრებულია დროულად, ხოლო მისი საბოლოოდ მიღება, შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება განხორციელებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევით (ვადის დარღვევა ძირითადად გამოიწვია ექსპერტიზის ჩატარებამ). მერიას ხელშეკრულების პირობების დარღვევისთვის მომწოდებლებზე არ აქვს გამოყენებული საჯარიმო სანქციები[12]:

- სს „იბერია 21“ -ზე - 12.6 ათასი ლარი;
- შპს „საქმისადენმშენ“-ზე – 5.5 ათასი ლარი;
- შპს „ახალ ჩუქურთმა“-ზე – 5.0 ათასი ლარი;
- შპს „წყალტუბო გზა სერვის“-ზე – 1.1 ათასი ლარი;

ჯამში არ არის დარიცხული 24.2 ათასი ლარის ჯარიმა.

❖ *სამშენებლო ნარჩენების გატანის სამუშაოები*

2009-2011 წლებში გზების მშენებლობა-რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის სამუშაოების შესრულების ხარჯთაღრიცხვებით გათვალისწინებულია გზის სავალ ნაწილსა და ტროტუარებზე დარჩენილი ასფალტობეტონის, ღორღის, მიწისა და სხვა ინერტული მასალების მოხსნა და სხვადასხვა მანძილზე (5-15კმ) გატანა. 1 ტონა ნარჩენების გატანის ფასები მერყეობს 3.7 ლარიდან 10.8 ლარამდე.

2009-2011 წლებში მიმწოდებლის მიერ შესრულების აქტებში დაფიქსირებულია 38,7 ათასი ტონა სამშენებლო ნარჩენების გატანა, რისთვისაც მათ აუნაზღაურდათ 237,7 ათასი ლარი.

[12] ხელშეკრულების მე-16 მუხლის მიხედვით, მისი პირობების დაგვიანებით შესრულებისთვის მომწოდებელი ჯარიმდება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი სამუშაოს ჯამური ღირებულების 0.1%-ით;

აღნიშნული ხარჯების რეალობის დადგენის მიზნით სამშენებლო ფირმებს კანონის შესაბამისად[13], ჩვენი მოთხოვნის საფუძველზე, მერიის მიერ მოეთხოვა ხარჯების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია: ნარჩენების გატანის დამადასტურებლად ხელშეკრულება ნარჩენების უტილიზაციაზე, სამუშაოს შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. შემსრულებლებისაგან წარმოდგენილი ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაცია არასრულყოფილია[14]. აღნიშნულის გამო შეუძლებელია ფაქტობრივად გაწეული ხარჯების დადგენა.

აღრიცხვა-კონტროლი

✓ ქალაქ ქუთაისის მერიას ქუჩები არ აქვს აღრიცხული ბუღალტრული და ტექნიკური მონაცემებით. მათ შორის შემდეგი პარამეტრების მიხედვით: ქუჩის სიგრძე, საერთო ფართი, სავალი ნაწილის ფართი, ტროტუარების ფართი, ქუჩაზე არსებული საკომუნიკაციო სისტემები და სხვა ტექნიკური მონაცემები, აგრეთვე განხორციელებული სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების მოცულობები და ღირებულებები

✓ 2010 წლამდე მერიის მიერ არ ხდებოდა ბიუჯეტიდან გაწეული "კაპიტალური ხარჯები"-სა და „არაფინანსური აქტივების ზრდი"-ს მუხლით შეძენილი ძირითადი საშუალებების მერიის ბალანსზე აღრიცხვა. ეს ქონება ამჟამად აღურიცხავია.

✓ 2009 წელს მერიას სს ''ტრანსვესტინჟინერინგი–12''–ზე ხელშეკრულების პირობების დარღვევისთვის[15] დარიცხული აქვს 15.0 ათასი ლარის ჯარიმა. თანხის ბიუჯეტში ჩარიცხვის ნაცვლად, ფირმას მომდენო წელს დაუკავდა შესრულებული სამუშაოების ღირებულება[16]. აღნიშნული თანხა არ ასახულა მერიის შემოსავლებსა და ხარჯებში (საკასო და ფაქტიურ ხარჯში).

---

[13] საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ კანონის მე-20 მუხლისა და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის 221-ე მუხლი;

[14] წარმოდგენილია ორი ხელშეკრულება სამშენებლო ნარჩენების შეტანაზე (მათ ტერიტორიაზე) შპს "მაგისტრალთან", სს "უფლისწული ფირმა მშენებელთან".

[15] სს ''ტრანსვესტინჟინერინწგი–12''–მა შესრულებული 1334.0 ათასი ლარის სამუშაო 11 დღის დაგვიანებით ჩააბარა, რაზედაც ხელშეკრულების მხედვით გავრცელდა სანქცია 0.1%.

[16] მერიის სარეზერვო ფონდიდან დაფინანსდა დაზიანებული გზის შეკეთების სამუშაოები 14,9 ათასი ლარით.

✓ კონტროლის ერთ-ერთ მექანიზმად მერიის მიერ ხელშეკრულებაში ჩადებულია სამუშაოების შესრულების გრაფიკი და გრაფიკის დარღვევისათვის შესაბამისი გასატარებელი სანქციები. თუმცა გრაფიკის დაცვით ან სამუშაოების დაგვიანებით შესრულებაზე კონტროლი მერიას არ განუხორციელებია, მომწოდებლების მიმართ არ არის გამოყენებული საჯარიმო სანქცია.

✓ ქუთაისის მერიას მარაგში ერიცხება 2011 წელს გზების მონიშვნისათვის შპს „დაგი+"–საგან შეძენილი 5.0 ათასი ლარის 700 კგ საღებავი, რომელიც გახარჯულია[17] , ხოლო ხარჯვის დოკუმენტურად დადასტურება ვერ მოხერხდა.

✓ მერიის მიერ სამუშაოები ისეა მიღებული, რომ მომწოდებლებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ექსპერტიზის დასკვნები არ წარმოუდგენიათ, 2009 წელს 2 შემთხვევაში 1206.0 ათასი ლარის, ხოლო 2010 წელს 6 შემთხვევაში–3829.4 ათასი ლარის სამუშაოებზე[18].

✓ მერიის მიერ 2009-2010 წლებში განხორციელებულ საგზაო სამუშაოების შესყიდვისას გაფორმებულ ხელშეკრულებებში არ არის გათვალისწინებული შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადები, რის გამოც შეუძლებლია მომწოდებლის პასუხიმგებლობის განსაზღვრა სამუშაოს ჩაბარების შემდგომ წარმოქმნილ ხარვეზებზე.

✓ შპს „მარკო 8"–მ და შპს „მალიეთის ველ"–მა არ შეასრულეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები[19]. მერიის სამსახურების[20] მიერ ხელშეკრულების გაწყვეტა და სასამართლოსთვის გადაცემა მოხდა 5-6 თვის დაგვიანებით. შედეგად ბიუჯეტი დროულად ვერ იღებს შესაბამის შემოსავალს (საჯარიმო სანქციას).

✓ 2009 წელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული გზების მიმდინარე რემონტის ნაცვლად, შესრულებულია გზების კაპიტალური შეკეთება (რეკონსტრუქცია) თანხით 121.1 ათასი ლარი[21], ამასთანავე სამუშაოს შესრულებაზე არ არის შედგენილი დეფექტური აქტი და ხარჯთაღრიცხვა. აღნიშნული გზების რეკონსტრუქცია არ არის აღრიცხული ძირითადი აქტივების მუხლში, იგი მიკუთვნებულია ხარჯებს.

---

[17] კეთილმოწყობის სამსახურის მიერ გაცემული ცნობით ირკვევა, რომ მერიის თხოვნით შპს „ინდიკო"–მ უფასოდ დახაზა დავით აღმაშენებლის გამზირის სავალი ნაწილის გამყოფი ღერძულა ხაზი და ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელები

[18] ექსპერტიზის დასკვნის წარმოუდგენლობა არ იწვევდა მომწოდებლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას (დაჯარიმებას)

[19] არ შეასრულა შპს „მარკო 8"–მა–55.8 ათასი ლარი, შპს „მალიეთის ველ"–მა– 17.2 ათასი ლარის სამუშაო.

[20] კეთილმოწყობის, საფინანსო და ადმინისტრაციული სამსახურები

[21] სამუშაოები შეასრულა სს ''ტრანსვესტინჟინერინგი–12''.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უფროსი აუდიტორი: გიორგი ჩახვაძე	ხელმოწერა	04.03.2013წ თარიღი
აუდიტორ–ასისტენტი: ლალი ამბროლაძე	ხელმოწერა	04.03.2013წ. თარიღი
აუდიტორ–ასისტენტი: ქრისტინე ეკალაძე	ხელმოწერა	04.03.2013წ თარიღი